სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული 2024 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო), 2024 წლის 01 იანვრიდან დღემდე, საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ შემოსულია სულ 10 განცხადება, საიდანაც:

- დაკმაყოფილებულია 6 მოთხოვნა;
- დაკმაყოფილებაზე უარის ეთქვა 3 განმცხადებელს;
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 1 მოთხოვნა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს სამივე შემთხვევაში წარმოადგენდა ინფორმაციის უწყებაში არ არსებობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 19 მაისის №01-48/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების (შემდგომში - დებულება) შესაბამისად.

საგულისხმოა, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

სააგენტო, როგორც მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი, არ აწარმოებს საჯარო მონაცემთა ბაზებს და არ ახორციელებს საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალურ მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას, შენახვასა და სხვისთვის გადაცემას.

დღეის მდგომარეობით, სააგენტოში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადება განხილვის პროცესში არ არის.

ამასთანავე, საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ, სააგენტოს არ გაუწევია.

სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია - ქეთევან გაჩეჩილაძე - იურიდიული და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი.